

## შპს „ელექტროენერჯის მიმწოდებელი“

### 1. ინფორმაცია ჩვენ შესახებ

#### 1.1. სტატუსი:

შპს „ელექტროენერჯის მიმწოდებელი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404706172) წარმოადგენს ელექტროენერჯის თავისუფალ მიმწოდებელს.

ინფორმაცია ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ შპს „ელექტროენერჯის მიმწოდებლის“, თავისუფალ მიმწოდებლად რეგისტრაციის შესახებ:

ინფორმაციის წყარო: <https://esco.ge/chvens-shesakheb/esco-news/informatsia-sabitumo-vachrobashi-monatsiled-registratsiis-shesakheb-910>

#### 1.2. საქმიანობა:

შპს „ელექტროენერჯის მიმწოდებელი“ მიაწვდის ელექტროენერჯიას დერეგულირებულ ფასად ელექტროენერჯის საცალო მომხმარებლებს, სემეკ-ის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

### 2. საჯარო შეთავაზება N1:

მიწოდების პერიოდის დასაწყისი: 2026 წლის პირველი იანვრის 00:00 სთ

მიწოდების პერიოდის დასასრული: 2026 წლის 31 დეკემბერის 24:00 სთ

მიწოდების რაოდენობა: კონკრეტული საცალო მომხმარებლის მოხმარების სრული რაოდენობა, თუმცა არა უმეტეს 2 000 000 000 (ორი მილიარდი) კვტ.სთ ელექტროენერჯის რაოდენობისა

ელექტროენერჯის საბოლოო ფასი: მცურავი გარანტირებული ფასი, სპეციალური ფორმულით

მცურავი გარანტირებული ფასის გამოთვლის სპეციალური ფორმულა:

#### **ფასის ფორმულირება სიტყვიერად:**

2025 წლის შესატყვის საანგარიშო პერიოდში, არაუმეტეს სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიერ დადგენილი საბალანსო ელექტროენერჯის გაყიდვის ფასს, დამატებული მიმწოდებლის მაქსიმუმ სამ (3) %-იანი მოგების მარჟა, დამატებული გარანტირებული სიმძლავრის საფასური და სემეკ-ის მიერ დადგენილი ელექტროენერჯის გადაცემისა და განაწილების მოქმედი ტარიფები, აგრეთვე ესკო-ს მომსახურების საფასური, სემეკ-ის რეგულირების საფასური და ფინანსურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები დაყვანილი თითოეულ კვტ.სთ მიწოდებულ ელექტროენერჯიაზე.

#### **ფასის ფორმულირება სტანდარტული მათემატიკური ფორმულის სახით:**

$GRES_{2025, cp} = EPR \times PMF_{2025, cp} + TT_{2025, cp} + DT_{2025, cp} + SF_{2025, cp} + [(100 \times RF_{2025, cp}) / RCC_{2025, cp}] + [(100 \times FGC_{2025, cp}) / RCC_{2025, cp}]$ , თეთრი/კვტ.სთ (დღგ-ს გარეშე)

სადაც:

$GRES_{2025, cp}$ , 2025 წლის შესატყვის CP საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს შპს „ელექტროენერჯის მიმწოდებლის“, როგორც ელექტროენერჯის თავისუფალი მიმწოდებლის მიერ საცალო მომხმარებლისთვის მიწოდებული ელექტროენერჯის გარანტირებულ საბოლოო ფასს;

$EPR_{2025, cp}$ , 2025 წლის შესატყვის CP საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს შპს „ელექტროენერჯის მიმწოდებლის“ მიერ შესყიდული ელექტროენერჯის ფასს, რომელიც არ აღემატება სათანადო სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიერ დადგენილი საბალანსო ელექტროენერჯის გაყიდვის ფასს (აღნიშნული ფასის სიდიდის შემცირება შესაძლებელია კონკრეტული საცალო მომხმარებლის ინდივიდუალური რესურსული შესაძლებლობითაც და ასეთ შემთხვევაში განისაზღვრება კონკრეტულ საცალო მომხმარებელსა და შპს „ელექტროენერჯის მიმწოდებელს“ შორის შეთანხმებით);

$PMF = 1,03$ , წარმოადგენს შპს „ელექტროენერჯის მიმწოდებლის“, როგორც ელექტროენერჯის თავისუფალი მიმწოდებლის მიერ კონკრეტული საცალო მომხმარებლისთვის მიწოდებულ ყოველ კვტ.სთ ელექტროენერჯიზე მაქსიმალური მოგების მარჟის გამომსახველ კოეფიციენტს (აღნიშნული  $PMF = 1,03$  მაქსიმალური მოგების მარჟის კოეფიციენტის სიდიდე შესაძლებელია შემცირდეს და განისაზღვროს კონკრეტულ საცალო მომხმარებელსა და შპს „ელექტროენერჯის მიმწოდებელს“ შორის ინდივიდუალური შეთანხმებით); ;

$TT_{2025, cp}$ , 2025 წლის შესატყვის CP საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს სემეკ-ის მიერ დადგენილ გადაცემის მომსახურების მოქმედ ტარიფს;

$DT_{2025, cp}$ , 2025 წლის შესატყვის CP საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს სემეკ-ის მიერ დადგენილ განაწილების მომსახურების მოქმედ ტარიფს, საცალო მომხმარებლის შესაბამისი სისტემის ოპერატორის სათანადო მიერთების ძაბვის საფეხურისთვის;

$SF_{2025, cp}$ , 2025 წლის შესატყვის CP საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს სემეკ-ის მიერ დადგენილ სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“-სთვის დადგენილ მომსახურების საფასურს;

$RF_{2025, cp}$ , 2025 წლის შესატყვის CP საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს სემეკ-ის მიერ დადგენილ რეგულირების საფასურის ღირებულებას მიწოდებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე (ლარი);

$FGC_{2025, cp}$ , 2025 წლის შესატყვის CP საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს შპს „ელექტროენერჯის მიმწოდებლის“ მიერ ტრანზაქციის მოცულობიდან გამომდინარე გაწეული ფინანსური უზრუნველყოფის ხარჯს (ლარი), რომელიც შესაძლებელია შემცირებული იყოს თავად ელექტროენერჯის საცალო მომხმარებლის ინდივიდუალური რესურსული შესაძლებლობიდან გამომდინარე და განისაზღვროს კონკრეტულ საცალო მომხმარებელსა და შპს „ელექტროენერჯის მიმწოდებელს“ შორის ინდივიდუალური შეთანხმებით;

RCC<sub>2025,cp</sub>, 2025 წლის შესატყვის CP საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს შესაბამის საცალო მომხმარებელზე მიწოდებული ელექტროენერჯის რაოდენობას (კვტსთ);

CP = 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12 წარმოადგენს 2025 წლის შესაბამისი კალენდარული თვის - საანგარიშო პერიოდის რიცხოვრივ გამოსახულებას.

### **3. ინფორმაცია ცხელი ხაზის შესახებ**

ცხელი ხაზი ფუნქციონირებს შემდეგ მობილურ ტელეფონზე: +995 555 25 50 75

### **4. აბონენტთა მომსახურების ცენტრი**

მომსახურების ცენტრის მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი,

ვიქტორ დოლიძის ქუჩა, N24

### **5. საკონტაქტო ინფორმაცია:**

ელექტრონული ფოსტის მისამართი: [info@nesa.ge](mailto:info@nesa.ge)

მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი,

ვიქტორ დოლიძის ქუჩა, N24

საკონტაქტო მობილური ტელეფონის ნომერი: +995 555 25 50 75.